სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს,
ქალბატონ ელენე ღუბიანურს

შპს ,,აგთ გერი დონუშუმი"-ს

(მის.:ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, ქუჩა წერეთელი, N 4)

# განცხადება

ქალბატონო ელენე,

გაცნობებთ, რომ შპს ,,აგთ გერი დონუშუმი" (ს.კ. 445473005) გეგმავს პოლიეთილენის და პოლიპროპილენის არასახიფათო ნარჩენების გადამუშავების (აღდგენის ოპერაცია - R3) და მუყაოს ნარჩენების წინასწარი დამუშავების (აღდგენის ოპერაცია - R12) საქმიანობის განხორციელებას.

დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველი დანართის მე-17 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას (წელიწადში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის აღდგენა ან/და განთავსება) და ის ექვემდებარება სკოპინგის პროცედურის გავლას.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი იქნა სკოპინგის ანგარიში, რაზეც 2026 წლის 27 მაისს N358/ს ბრძანებით გაცემულია სკოპინგის დასკვნა N12. აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მომზადება და წარდგენა სააგენტოში.

კომპანიის მიერ მომზადებულია და წარმოგიდგენთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს კანონმდებლობით და სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად. გთხოვთ, განიხილეთ და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართები:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის არატექნიკური რეზიუმეს ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტის ნაბეჭდი ვერსია - 3 ეგზემპლარი;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის, გზშ ანგარიშის არატექნიკური რეზიუმეს, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტის და საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS Shp ფაილის ელექტრონული ვერსიები - 1 CD;
- გზშ მოსაკრებელი ქვითარი.

პატივისცემით,

ჯანსულ ნუმანიშვილი

შპს ,,აგთ გერი დონუშუმის" დირექტორი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
07 07 2026
№ 10331

ტელ: 599378087
ელ. ფოსტა. donushumi@gmail.com